

მარხელ კრუსტი

# ნაკოვნი დრო

ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და  
განმარტებები დაურთო **დალი იაშვილმა**



გამომცემლობა არძანუჯი  
თბილისი

მარსელ პრუსტი

**ნაპოვნი დრო**

მეშვიდე წიგნი რომანიდან „დაკარგული დროის ძიებაში“

MARCEL PROUST

**LE TEMPS RETROUVÉ**

Le septième volume du livre “À la recherche du temps perdu”

რედაქტორი

ნატო გორდელაძე

დამკაბადონებელი

ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი

თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-478-96-3

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018

## წინასიტყვაობა

### წიგნისთვის „ნაკოვნის დრო“

მარსელ პრუსტს მოიხსენებენ ერთი ნაწარმოების, „დაკარგული დროის ძიებაში“ ავტორად, მაგრამ ამ დიდმა მხატვრულმა ტილომ, რომელიც 3000-ზე მეტ გვერდს მოიცავს და 7 ტომადაა დაყოფილი, ძირეულად შეცვალა არა მხოლოდ ფრანგული, არამედ მსოფლიო ლიტერატურა. ჯეიმზ ჯოისს აქვს ნათქვამი, რომ თვითონ წარსულია და პრუსტი კი მომავალი, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ ამ ორმა დიდმა მწერალმა შეძლო მთლიანად გაერღვია არსებული ლიტერატურული ფორმები, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური მოდელები და ახლის ძიებისკენ მიემართათ როგორც მომავალი მწერლები, ასევე მრავალი თავსატეხი გაეჩინათ ლიტერატურათმცოდნეების, ფილოსოფოსებისა და კრიტიკოსებისთვის.

ამბობენ, რომ პრუსტის ფილოსოფიაზე დიდი გავლენა მოახდინა ჯონ რასკინის, ანრი ბერგსონის, კანტის, შოპენჰაუერის, ჟან-მარი გიოს და სხვათა ნააზრევმა, ეძებენ და პოულობენ კიდევ მსგავსებს, იდენტურ თუ ნახევრად მსგავს იდეებს, გამონათქვამებს... მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. პრუსტი ძალზე განათლებული ადამიანი იყო და რალა თქმა უნდა, ეცნობოდა და იცნობდა ყველაფერს, რაც იწერებოდა და რაც მანამდე დაწერათ, მაგრამ მას არ განუცდია ვინმეს გავლენას, მან თავისი ფილოსოფია და თავისი სამყარო შექმნა. მოზარდობისა და ახალგაზრდობის ხანაში მასზე მართლაც დიდი გავლენა იქონია რასკინის, ბერგსონის, გიოს ნააზრევმა, გამოკვება მისი ფიქრები ხელოვნების როლის თაობაზე ცხოვრებაში, სივრცისა

და დროის აღქმაზე – დროის აღდგენაზე, სივრცისა და დროის განზომილებათა ურთიერთკავშირზე, შეგრძნებათა უპირატესობაზე განსჯის მიმართ, უნებლიე და ნებელობითი მესხიერების მექანიზმზე, ჭეშმარიტების ძიებაზე, სიყვარულის ეგოისტურ და ალტრუისტურ მხარეზე, ადამიანის განვითარებაზე, თვითშეცნობის უნარზე, მოკლედ ყველა იმ თემასა თუ საკითხზე, რასაც იგი თავის უმთავრეს მხატვრულ ტილოში ეხება.

წერა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. მისთვის წერა სიამოვნების წყარო და ჭეშმარიტების ძიება იყო. წერდა ჟურნალში “le Banquet”, რომელიც კონდორსეს ლიცეუმის კურსდამთავრებულებმა შექმნეს. 1895 წელს მიიღო სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ლიცენციანტის ხარისხი. ამ პერიოდში უძღვებოდა მაღალი საზოგადოების ქრონიკას ჟურნალ „ფიგაროში“ და სტუმრობდა პარიზის ცნობილ სალონებს. ამავე წელს მაზარინის ბიბლიოთეკაში, კონკურსის გავლის შემდეგ 4 თვე მუშაობდა, მაგრამ ავადმყოფობის მორიგი გართულების გამო დედასთან ერთად დასასვენებლად მოუხდა გამგზავრება კტიენაჰში და სენ-ჟერმენ ან ლეიში, სადაც მან დაწერა ნოველა „ბალდასარ სილვანდის სიკვდილი“. ის თავის საყვარელს, შემგომში ცნობილ კომპოზიტორს, რენალდო ჰარნს მიუძღვნა. მოთხრობა „რევიუ ებდომადერში“ დაიბეჭდა.

პირველი წიგნი „სიამოვნებანი და დღეები“ 1896 წელს გამოიცა ანატოლ ფრანსის წინასტყვობითა და ქალბატონი ლემერის ილუსტრაციებით. ეს იყო კრებული „საუკუნის დასასრულის“ სტილში დაწერილი ნოველების, პორტრეტების და პროზად შექმნილი ლექსებისა. წიგნი საზოგადოებისთვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, თუ არ ჩავთვლით მკაცრ კრიტიკას, რომელიც დაუნდობლობით ცნობილ მწერალ ჟან ლორენს ეკუთვნოდა. კრიტიკოსმა სტატიასში მწერლის პირად ცხოვრებაზეც იკადრა მინიშნება და მარსელ პრუსტმა იგი დუელში გამოიწვია. დუელი პარიზის შემოგარენში, მიოდენში შედგა. პრუსტის სეკუნდანტობა მხატვარმა ჟან ბერომ იკისრა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მაგრამ ამ ამბავმა პრუსტს ფუქსავატი ზეპური დილე-

ტანტის რეპუტაცია დაუმკვიდრა. ანატოლ ფრანსმა კი გაუკვალა გზა ლიტერატურაში „დრეიფუსის საქმეში“ თანამებრძოლ მარსელ პრუსტს, რომელიც ძალზე უყვარდა და სიამოვნებდა მასთან ურთიერთობა, მაგრამ არასდროს მიუჩნევია მწერლად და თავის კოლეგად, და ერთგვარ შემაფერხებლადაც კი ექცა. 1896-1904 წლებში პრუსტი ავტობიოგრაფიულ რომანს წერდა, რომელიც უსათაუროდ და დაუმთავრებლად მიატოვა (რომანი მხოლოდ 1952 წელს, მისი გარდაცვალებიდან 30 წლის თავზე გამოსცეს და სათაურად მთავარი გმირის სახელი „ჟან სანტი“ დაარქვეს). რამინ ფერნანდესისადმი მიწერილ წერილში 1919 წელს პრუსტი წერდა: „უნდა განვიზმინდო კერპთაყვანისმცემლობისა და მიმბაძველობის ნაკლისგან. ვიდრე მალულად მივბაძო მიშლეს ან გონკურს, ღიად უნდა დავწერო „პასტიშები“, მინაბაძები. უნდა ვიყო მხოლოდ მარსელ პრუსტი, როდესაც ჩემს რომანს ვწერ“. პრუსტისთვის ხელოვანის ერთადერთი თავისუფლება თავისთავადობაა. „ნაპოვნ დროში“ ჩართულია გონკურის ფსევდოდღიურის დიდი მონაკვეთი, რომელიც 1907 წელს დაწერა. ანატოლ ფრანსის არც ერთი „პასტიში“ არ დაუწერია, იგი რომანში ბერგოტის პერსონაჟის სახით ჩართო. პრუსტი ძალზე ნილბავდა თავის პერსონაჟებს, ნაკრებ ხასიათს, გარეგნობას აძლევდა (ერთ-ერთი გამონაკლისია ექიმი კოტარი, რომელმაც მას ფატალური დიაგნოზი დაუსვა და რომელიც თავისი გვართაა რომანში წარმოდგენილი, რაც შეეხება სხვა პერსონაჟებს: მაგ., მადამ ვერდიურენი – სიმბოლო საშუალო პარიზული ბურჟუაზიის, პრეტენზიული, ბრიყვი, არაკეთილმოსურნე, ჭორიკანა – ექვსი ადამიანის ნაკრებია; ალბერტინის სახედ აღფრედ აგოსტინელი, თავის უდროოდ დაღუპული მდივანი გამოიყენა და არად ჩააგდო სქესთა სხვაობა, სენ-ლუს სახისთვის ბერნარ დე ფენელონის და გასტონ არმანის სახეები გააერთიანა და ა. შ., მეორე ანატოლ ფრანსი გახლავთ, რომელიც რომანში ბერგოტის სახელითაა წარმოდგენილი და სრულიად ჰგავს, გარეგნულადაც კი თავის პროტოტიპს. ერთადერთი გამოგონილი პასაჟი ბერგოტის სიკვდილია: ანატოლ ფრანსი 1924 წელს, პრუსტის სიკვდილიდან 2 წლის შემდეგ, გარ-

დაიცვალა); პრუსტი სასიკვდილო სარეცელზე მყოფიც წერდა ან კარნახობდა. კარნახობდა თავის ნააზრევს სიკვდილზე, ამბობდა, ბერგოტის სიკვდილისთვის გამოდგებაო... ბერგოტი „ძიების“ ერთი ეტაპია ელსტირთან და ვენტიესთან ერთად, მთხრობლის ერთ-ერთი სულიერი და ესთეტიური ინიციატორია და არა პედაგოგი ან მისაბაძი მოდელი. როდესაც ნაწარმოების მთხრობლის მონოდება იღვიძებს, ბერგოტი კვდება. „ძიებაში“ პრუსტმა ანატოლ ფრანსივით წერას კი არ მიაღწია, არამედ ანატოლ ფრანსივით მწერალი გახდა. „რაც სხვებისგან ვისწავლე – ისაა, რომ სხვები ვერაფერს გვასწავლიან“.

„ჟან სანტიეს“ წერაზე ხელი აიღო და 1900 წელს, ჯონ რასკინის გარდაცვალების შემდეგ (რადგან ამ უკანასკნელს არ სურდა მისი ნაწარმოებები რომ ეთარგმნათ), გადაწყვიტა ეთარგმნა მისი ნაწარმოებები, რომელთაც მხოლოდ სხვების დაწერილი სტატიებიდან იცნობდა. რადგან ინგლისურს არ ფლობდა, მას პნკარედი დედამ გაუკეთა. ეს თარგმანი დღემდე მიიჩნევა ჯონ რასკინის საუკეთესო ფრანგულენოვან თარგმანად. პრუსტმა უხვი ანოტაციები დაურთო თარგმანს, სადაც ეკამათება ჯონ რასკინს და ჩამოაყალიბა თავისი ესთეტიური სამყარო, შეხედულებები ხელოვნებაზე, წიგნიერებასა და ლიტერატურულ სტილზე. სტატიების კომენტარებში, რომელიც მან ჯონ რასკინს მიუძღვნა, უკვე ჩანს კავშირი მის უმთავრეს ნაწარმოებთან „დაკარგული დროის ძიებაში“. მოხდა საოცარი გენეზისი – მარსელ პრუსტმა რასკინის შემოქმედების კრიტიკით თავისი თავი აღმოაჩინა და 1907 წელს შეუდგა თავისი ცხოვრების მთავარი წიგნის წერას. ნაწარმოები სტიქიურად იწერებოდა. პირველი და ბოლო პასაჟები თითქმის ერთდროულად დაწერა და შემდეგ შუაში შენდებოდა და შენდებოდა „დიდი ტაძარი“: „აქა-იქ დამატებითი ფურცლის ჩამატებით მე ვაგებდი ჩემს წიგნს, ვერ ვაგებედავ ამბიციურად განვაცხადო, ტაძარივით ვაგებდი-მეთქი, არა, უბრალოდ კაბასავით ვკინძავდი“. მისი ხელნაწერი მართლა საკერებლებიან ნაჭერს ჰგავს, ათასჯერ გადაკეთებულს, რომელთა ხილვის ბედნიერებაც შარშან საფრანგეთში ყოფნისას მქონდა.

ავადმყოფობით დალდასმულს ეშინოდა, რომ ვერ მოასწრებდა ნაწარმოების დამთავრებას, დრო ცოტალა რჩებოდა. ცხრა წლისას პირველად ჰქონდა ასთმის შეტევა. შემდეგ შეტევები გახშირდა და გაზაფხულის მოსვლას სასჯელივით ელოდა. ავადმყოფობამ იძულებული გახადა ჩამოშორებოდა ზეპურ საზოგადოებას და ჩაკეტილი ცხოვრებით, ასკეტივით ეცხოვრა. 1906 წლიდან, მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ოსმანის ბულვარზე დასახლდა. ფანჯრებს ვერ აღებდა, თვეობით არ გადიოდა სახლიდან და თუ გავიდოდა, მხოლოდ შელამებულზე. დღე ეძინა და ღამით წერდა. ეს ზოგს მისი ახირებულობის გამოხატულებად მიაჩნდა. თავის ავადმყოფობას კი არ დანებდა, წერა დაიწყო და, როგორც ფრანსუა მორიაკი ამბობს, თავისი ცხოვრება ლიტერატურად აქცია.

1911 წლისთვის მარსელ პრუსტმა რომანის „დაკარგული დროის ძიებაში“, პირველი ვერსია დაასრულა. მაშინ რომანი სამი ნაწილისგან შედგებოდა: „დაკარგული დრო“, „გერმანტების მხარე“ და „ნაპოვნი დრო“. პირველი ვარიანტის მიხედვით წიგნი ორ მოზრდილ ტომად უნდა გამოცემულიყო. მაგრამ პრუსტმა გამომცემელი ვერ იპოვა. 1912 წლისთვის მას უარი უთხრა „ფასკელმა“, „ნუველ რევიუ ფრანსეზმა“ და ოლენდორფმა. საბოლოოდ გამომცემელი ბერნარ გრასე დათანხმდა ავტორის ხარჯით წიგნის გამომცემაზე, მაგრამ ტექსტის შეკვეცა მოითხოვა.

პირველი ტომი 1913 წლის ნოემბერში გამოიცა და მას „სვანის მხარეს“ დაერქვა. მკითხველმა და კრიტიკამ რომანი ცივად მიიღო. მეორე ტომი უკვე ჩაშვებული იყო გამოსაცემად, პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ბერნარ გრასე ომში წავიდა, გამომცემლობა დაიხურა, ხოლო მარსელ პრუსტი მწვავე ბრონქიტითა და ასთმის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. ომის, ავადმყოფობის და პირველი წიგნის წარუმატებლობის მიუხედავად, მარსელ პრუსტმა რომანზე მუშაობა განაგრძო. წიგნის სამი ტომი ხუთტომეულად გადაიქცა. რომანის პირველ ორ ნაწილს შორის დაამატა „შედერებულ ქალიშვილთა ჩრდილში“ და მეორესა და მესამეს შორის „სოდომი და გომორი“, „ტუსალი“ და „გაქცეული“.

და ჩვენ, მკითხველებს, გვანვალებს კითხვა: რა მოხდებოდა 1913 წელს ანდრე ჟიდს რომ არ დაეწუნებინა მისი ნაწარმოები, ან გრასე ომში რომ არ წასულიყო, ან პრუსტი 51 წლის რომ არ გარდაცვლილიყო?

მაღე გამომცემლობა „გალიმარმა“ დაიწყო პრუსტის ბეჭდვა. მეორე ტომმა – „შედერებულ ქალიშვილთა ჩრდილში“ – აღიარება და წარმატება მოუტანა მწერალს, 1919 წლის 10 დეკემბერს მან გონკურის პრემია მიიღო. 1918 წლისთვის მარსელ პრუსტი ფიქრობდა, რომ რომანი დაამთავრა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მაინც ასწორებდა, ცვლიდა, ამატებდა გარკვეულ პასაჟებს.

ნაწარმოები ამგვარადაა აგებული: მთხრობელს (პრუსტსაც) სურს წერა, მაგრამ ვერ ასრულებს ჩანაფიქრს. ის მოხიბლულია ლიტერატურით, მაგრამ ვერ წერს, ყურადღება გაფანტული აქვს ამქვეყნიური ამოებით, ზეპურ საზოგადოებაში ტრიალით, ფუქსავატობით და ამ მდგომარეობაში მყოფი გადაქანცულია უამრავი ძიებით, რალა თქმა უნდა, სასიყვარულო ისტორიების ძიებითაც: ჟილბერტ სვანისადმი, დუშეს დე გერმანტისადმი, ალბერტინისადმი სიყვარულით (თვით პრუსტსაც ახალგაზრდობაში უყვარდა პოლონური წარმოშობის რუსი დიპლომატის ქალიშვილი მარია ბერნარდაკი, რომელთან შეხვედრები 1887 წელს შეწყვიტა, შემდეგ სხვაგვარი სიყვარულის მცდელობანი ჰქონდა, სურდა ვინმე ჰყარებოდა ან ვინმეს ჰყვარებოდა დედამისს გარდა. ეს პირველი „ქალიშვილი“ იყო, რომელიც დაკარგა და რომლის „ხელახლა პოვნასაც“ მოგვიანებით შეეცდებოდა „დაკარგულ დროში“). შეუმდგარი სიყვარულის ეს დევნა სიმბოლურად წერის განუხორციელებლობაში ტრანსფორმირდება: როგორც სიყვარული ვერ აისრულა, ისევე ვერ ისრულებს წერის სურვილსაც. ე. ი. დრო ამოადა დაკარგული. ესაა სურვილის ასრულების ბრმა მცდელობის დრო. შემდეგ თვალხილული იმედგაცრუების დრო დგება: მთხრობელი კითხულობს გონკურის „დღიურს“ (ესაა პრუსტის მიერ დაწერილი მინაბაძი „პასტიში“ გონკურისა) და თვალნათლივ ხედავს, რომ არანაირი ლიტერატურული ნიჭი

არ გააჩნია, რომ ვერაფერს დაწერს, რადგან ის თვისებანი, რაც მწერალს უნდა ჰქონდეს, მხოლოდ დროდადრო აქვს და სევდიანად, მაგრამ სრულიად ფხიზელი გონებით გადაწყვეტს, ხელი აიღოს მწერლად გახდომის განზრახვაზე, აღარ წეროს – მანამდე მხოლოდ სტატია აქვს დაბეჭდილი „ფიგაროში“ – და სრულიად ჩაერთოს ამას და ფუქსავატურ ცხოვრებაში და ასე გალიოს ცხოვრება. რაც ფუჭად დაკარგული დროის სრული აღიარებაა მისი მხრიდან. დაბოლოს, უდიდესი სიხარულის, ნეტარების დრო დგება. დიდი ხნის შემდეგ პარიზს დაბრუნებული მთხრობელი გერმანტებთანაა მიპატიჟებული. გერმანტების სასახლის ეზოდანვე თითქოსდა ზეგარდმო ნიშნები აიძულებენ ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას: ეზოში ფეხს ნამოჰკრავს ცუდად დაგებულ ფილაქანს და წამსვე სენ-მარკის ეკლესიის ეზო ახსენდება ვენეციაში, სადაც სწორედ ამგვარად ნაბორძიკდა. ლაქიას ჩაი მოაქვს და კოვზი განკარუნდება ლამბაქზე, რაც შუა მინდორში გაჩერებული მატარებლის შეკეთების ხმაურს აგონებს, როდესაც საყვარელ ბებიასთან ერთად მგზავრობდა. ბიბლიოთეკაში ფოტოთახლის წვეწვს მოართმევინ და ხელსახოცი სწორედ ისევეა გახამებული, როგორც ბალბეკში პირველად ჩასვლისას დახვდა. და ეს სამი ნიშანი არის იდუმალი კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის. აქ წმინდა პრუსტისეულ უდროო დროში ვვარდებით: წარსულის ფრაგმენტსა და დღევანდელ შეგრძნებას გამოჰყავხარ დროის ბრუნვიდან. დრო დამარცხებულია, დრო ხელახლაა ნაპოვნი და ეს მთხრობელში ისეთ აღტაცებას, ისეთ სიხარულს იწვევს, რომ წამსვე ივსება სასიცოცხლო ძალებით და უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას იღებს – ხელი აიღოს ფუქსავატურ ცხოვრებაზე, ასკეტურ ცხოვრებას შეუდგეს და წერა დაიწყოს. რადგან წერაა ერთადერთი საშუალება ამ უეცრად აღმოჩენილი სიხარულის, ნეტარების, თავის თავში შენარჩუნებისა. გერმანტების წვეულება მისი ბოლო წვეულებაა ზეპურ საზოგადოებაში. შესამონაზვნებლად გამზადებული ბერივით, ისიც ბოლოჯერაა ხალხში, ახლა წავა, ჩაიკეტება, წერას დაიწყებს და კვლავ იპოვის დაკარგულ დროს. სასწორის ერთ მხარეს წერა იდება, მეორეზე – სხვა ყვე-

ლაფერი. წერით უმაქნისი, უბედური ამაო სიცოცხლე, ქმედით, ბედნიერ სიცოცხლედ იქცევა. პრუსტიისთვის წერა ბედნიერად ყოფნაა, თვით ბედნიერებაა.

დრომ ვერ შეძლო მას შეხებოდა, დრომ, რომელიც მან მოათვინიერა და დაამარცხა. მარსელ პრუსტმა თავისი სიცოცხლე შესწირა, რომ მისი წიგნს ეცოცხლა. მიდიარი ოჯახის შვილს, არ სჭირდებოდა წერა ბალზაკივით, რომელიც მოვალეებმა მიაჯაჭვეს საწერ მაგიდას, წერა მისთვის სიამოვნების წყარო, დაწერილი კი ნამდვილი ცხოვრება იყო: „ნამდვილი ცხოვრება, საბოლოოდ საბურველმობდილი და ნათელმოფენილი, შესაბამისად, ერთადერთი ნამდვილად განვლილი ნაცხოვრები ცხოვრება, არის ლიტერატურა“ – წერდა მარსელ პრუსტი.

პრუსტი უამრავჯერ იმეორებს თავის მიმონერაში, რომ მისი წიგნის კონსტრუქცია ნათლად მხოლოდ მის ბოლო ნაწილში გამოჩნდება, ხაზს უსვამს, რომ ბოლო ნაწილი ძალზე ადრე დაწერა; ბოლო ნაწილში არ იგულისხმევა „ნაპოვნი დრო“ იმ სახით, როგორც ჩვენ წინაშეა, არამედ ორი ბოლო ეპიზოდი „მარადიული თაყვანისცემა“ და „თავების მასკარადი“. გამოთქმა „მარადიული თაყვანისცემა“ ჯერ კიდევ 1904 წელს რასკინის „ამიენის სახარების“ წინასიტყვაობაში იხმარა, სადაც წერდა, რომ „მშვენიერების თაყვანისცემა არის რასკინის ცხოვრების მარადიული, უწყვეტი აქტი“. მთხრობელი ფიქრობს, რომ ხელოვნების ნიმუში ზარდახშაა, რომელშიც შეუძლია შეინახოს ცხოვრების აღსაფრთოვანებელი უნებლიეთ გახსენებული მომენტები. იგი დედუქციური მეთოდით წარმოგვიდგენს თავისი რომანის ესთეტიკის პრინციპებს.

„თავების მასკარადში“ თეატრალური კვანძის გახსნით აღმოაჩინეს აღმამოფოთებელ ფაქტს: გერმანტების დილის წვეულებაზე ხედავს ხალხს, ვისაც ადრე იცნობდა, ერთ ხანს გაოგნებული რჩება, ჰგონია, რომ ნიღბები აქვთ აფარებული, რომ მასკარადი გაუმართავთ და მერე ხვდება, რომ უბრალოდ დაბერებულან. მათი შემხედვარე ხვდება, რომ ძალზე დიდი დრო გასულა. მისთვის ჩავლილი დრო ხელშესახები ხდება და თავის სიბერესაც

გაიაზრებს და ნაღვლიანად, გამწარებულიც, ჩაფიქრდება: საკმარისი ღამეები თუ აქვს დარჩენილი იმ ნაწარმოების დასამთავრებლად, რომელსაც თავის თავში ატარებს, ორსული ქალივით.

ნაწარმოებში „ყველაფერი იმგვარადაა აგებული, – წერდა პრუსტი, – რომ ამ პირველ ტომში („სვანის მხარეს“) ხედავთ სიამოვნებას, რომელიც მე ჩაიში ჩამბალმა „მადლენმა“ მომანიჭა, მე ვთქვი, რომ ამით შევწყვიტე მოკვდავად ყოფნა, და ა. შ. (პირიქით, მადლენის გემო ახსენებს ბეზის ავადმყოფობას და გარდაცვალებას, ე. ი. მისი ჯერიც დგება!) არ კი ვიცი რატომ, ამას მხოლოდ ბოლოს ავხსნი“. და მართლაც „დაკარგული დროის“ და „ნაპოვნი დროის“, სემანტიკურად დაპირისპირებული ურთიერთკავშირი მხოლოდ „ნაპოვნი დროში“ მყარდება, ეს დაპირისპირებულიობა ნიღბავს ძალზე ღრმა კავშირებს, რომელთაც მხოლოდ ნაწარმოების ბოლოს ეხდება ფარდა. პირველ გვერდებზე მეხსიერებაში წამოჭრილი თემები – ოთახი, მადლენი – გადაძახილს პოეზებს 2000 გვერდის შემდეგ, ნაწარმოების ბოლოს და ამგვარად, სრულყოფილ სახეს იღებს პრუსტისეული ფიქცია.

პრუსტის ტექსტი სულის მოგზაურობაა ჯოჯოხეთში, ნაწარმოების გმირი გამოდის თავისი ბავშვობის სამოთხიდან, ჩადის ჯოჯოხეთში, მოგზაურობს, დაბოლოს, ხელოვნების – ლიტერატურის – მეშვეობით განიზმინდება. პრუსტს არ მიუბაძია დანტესთვის, არ მოუხმია მისი ციტატები, თუმცა კი ბევრ დანტესეულ სიმბოლოს, სიტყვასა თუ კონსტრუქციას ვხვდებით ტექსტში.

ლიტერატურის საკუთარი კონცეფციის ფორმულირებით მთხრობელი (ავტორიც) ადასტურებს, რომ გმირი მწერალი ხდება. „ნაპოვნი დრო“ ამგვარად ასრულებს და განსაზღვრავს „დაკარგულ დროის ძიების“ ამბავს, რომელიც ადამიანის ნიჭის, მონოდების თვითრეალიზების ისტორიაა.

დაკარგული დრო უპირველესად წარსულია, რომელიც საბოლოოდ დაკარგული იქნებოდა, თუ მეხსიერება (ნებელობითი, რომელსაც პრუსტი ინტელექტუალურ მეხსიერებას უწოდებს ან უწებლიე) არ შეინარჩუნებდა. ბავშვობის სამყარო შესაძლოა სამუდამოდ მკვდარი გამხდარიყო, თუ მას ერთი ციდა „მადლენის“

გემო, ან უსწორმასწორო ფილაქანზე ფეხის წამოკვრა, ან მსახურის მიერ მორთმეული ჩაის ლამბაქზე კოვზის განკარუნება არ გააცოცხლებდა.

დაკარგული დრო აგრეთვე უქმად დაკარგული, უაზრო ზეპურ ვიზიტებში, „ბრიყვულ ვახშმობებზე“ გატარებული დროა, რომელიც საბოლოოდ დაკარგული იქნებოდა, თუ რაიმე საინტერესოს, რაიმე დასაკვირვებლად ღირებულს, სიამოვნების მომგვრელს თუ არ დაუკავშირდებოდა. ეს ფუქსავატურად დაკარგული დრო უნებისყოფობის დრამას და ქმნადობის შეუძლებლობასაც უკავშირდება. ნაწარმოების გმირი, ისე როგორც ავტორი, ვერა და ვერ იწყებს თავისი მთავარი ლიტერატურული ჩანაფიქრის შესრულებას, რომელზეც ბავშვობიდანვე ოცნებობდა. ჯერ კიდევ „გერმანტების მხარეს“ მკითხველისთვის ცნობილი ხდება, რომ გმირი მწერალი უნდა გახდეს, დაახლოებით 2000 გვერდის შემდეგ, გმირი კვლავ დაეჭვებულია, მას არ შეუძლია „მოსმენა და ხედვა“, მაგრამ ბოლოს იღებს მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ დაიწყებს რომანის წერას და ეშინია, რომ დრო, ღამეები, არ ეყოფა მის დასასრულებლად.

მოგვითხრობს სპონტანურ მოგონებათა, ასოციაციათა, ქვეცნობიერ მინიშნებათა კვალდაკვალ. მოვლენათა გადმოცემისას არ იცავს დროულ თანმიმდევრობა, ამიტომ ძირეულადაა შეცვლილი რომანის სტრუქტურისა და სიუჟეტის ტრადიციული ქარგა. ცდილობს, ახსნა მოუძებნოს ადამიანის ფსიქოლოგიისა და ინტელექტის კანონებს, ინტუიციის მექანიკას. ნაწარმოებში დროის ყველა შრე ერთმანეთშია გადახლართული, თხრობა ერთი დროიდან მეორეში თავისუფლად ხტება, ყოველგვარი თანმიმდევრული კავშირის გარეშე.

პრუსტისეული ტექსტი, როგორც სიტყვის დიდოსტატისა, ულამაზესი და დახვეწილია. სტილი გამორჩეული. თითქმის ყველა სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია, ღრმა, ამიტომაცაა ძნელი პრუსტის თარგმნა. ყოველი მკითხველი მას სხვადასხვაგვარად აღიქვამს. თვით პრუსტი წერის კარგ სტილს ხავერდს ადარებს,

შესახებად სასიამოვნოს, რბილს და ამავედროულად მოუხელთებელი სიღრმის მქონეს.

რომანს სიკვდილთან გაჯიბრებული წერდა. გაეჯიბრა და დაამარცხა სიკვდილი; თავის ცნობილ „კითხვარში“ კითხვაზე: როგორ სიკვდილს აირჩევდით? უპასუხა: სულაც არ ავირჩევდიო. უკვდავობა სურდა – საფრანგეთის აკადემიის წევრობა – მიუხედავად მხარდაჭერისა (აკადემიაში მეგობრები ჰყავდა: რობერ დე ფლერი, რენე ბუაილესვი, მორის ბარესი, ანრი რენიე) აკადემიის წევრი ვერა, მაგრამ უკვდავი კი გახდა თავისი ნაწარმოებით.

წინამდებარე თარგმანში გადაენწყვიტეთ ტიტულების ფრანგული ხმოვანებით დატოვება; სულხან-საბა ორბელიანს აქვს გამოყენებული სიტყვა „დუკა“, სიტყვები „ვიკონტი“ და „ბარონი“ უკვე შემოსულია ქართულში, ამდენად მართებულად მიგვაჩინია სხვა ტიტულების ფრანგული ვერსიების დატოვებაც.

**დალი იაჰვილი**



მთელ დღეს ცოცხალი არ იყოს სოფლური იერის საცხოვრისში ვატარებდი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გასეირნებებს შორის ნაშუადღევს მოსასვენებელ ადგილს ან თავსხმის დროს თავშესაფარებელს ჰგავდა, ერთ-ერთ იმ საცხოვრებელთაგანს, სადაც თითოეულ ოთახს თალარის იერი დაჰკრავს და სადაც ოთახების შპალერზე ზოგან ბალის ვარდები, ზოგან კი ტყის ჩიტები შემოგხვდებიან და თანამეინახეობას გაგინევენ, – მაინც განცალკევებული – რადგან ეს ის ძველი შპალერები გახლდათ, სადაც თითოეული ვარდი, სხვებისგან საკმაოდ გამოყოფილი, თითქოს ცოცხალი იყო, მისი მონყვეტა და თითოეული ჩიტის გაღიაში ჩასმა და მოშინაულება რომ შეგვძლებოდა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო დღევანდელი ოთახების დიდებულ მორთულობასთან, სადაც ვერცხლისფერ ფონზე ნორმანდიული ვაშლის ხეები იაპონურ ყაიდაზე გამოკვეთილან და მოისწრაფვიან, რათა იმ დროს მოგელანდონ, სანოლში რომ დაჰყოფთ; მთელ დღეს ჩემს ოთახში ვატარებდი, რომელიც პარკის მშვენიერ სიმწვანეს, შემოსასვლელ კართან ჩარიგებულ იასამნებს, წყლის პირას დიდი ხეების მწვანე, მზეზე აციაგებულ ფოთლებს და მეზეგლიზის ტყეს გადაჰყურებდა. ყოველივეს მაინც სიამოვნებით შევცქეროდი, რადგან ვფიქრობდი: „ლამაზია, ამდენი სიმწვანე რომ მოჩანს ჩემი ოთახის ფანჯრიდან“, – იმ მომენტამდე, სანამ მწვანე ფართო ტილოზე არ გავარჩიე, სრულიად სხვა ფრად, უბრალოდ იმიტომ, რომ უფრო შორს იყო, დაბინდულ ცისფრად შეღებილი, კომბრეს ეკლესიის სამრეკლო. არა ამ სამრეკლოს წარმოსახვა, არამედ თვით სამრეკლო, რომელიც სივრცისა და წლების სიშორიდან ამგვარად წარმომიდგა თვალწინ, გასხვივოსნებულ სიმწვანეში და სულ სხვაგვარ ტონში, იმდენად

დაბინდულში, რომ მხოლოდ მონახაზსლა ჰგავდა, და ჩაენერა ჩემი ფანჯრის ჩარჩოში. და თუ ერთი წამით გამოვიდოდი ჩემი ოთახიდან, ირიბად დამხრობილი დერეფნის ბოლოს გამჩნევდი ალისფერ ზოლს, პატარა სალონის უბრალოდ მუსლინის, მაგრამ წითელი მუსლინის შპალერს, რომელიც ასაალებლად იყო მზად, თუ მზის სხივი მოხვდებოდა.

ამ გასეირნებების დროს ჟილბერტი მიყვებოდა, თუ როგორ აქცია ზურგი რობერმა და სხვა ქალებისკენ იბრუნა პირი. და მართალაც, მისი ცხოვრება ბევრი რამით იყო პირთამდე სავსე, ქალებით, და ასევე იმ კაცებთან მამაკაცური მეგობრობით, ვისაც ქალები უყვარდა, და იყო ამაში რაღაც ამაო თავდაცვის მცდელობის მსგავსი, ამაოდ დაკავებული ფართობებით იმ სახლებში, სადაც უამრავი ნივთია, საჭირო რომ აღარაფრისთვისაა. ჩემი იქ ყოფნის დროს ის ბევრჯერ ჩამოვიდა ტანსონვილში. ძალზე განსხვავებული იყო იმ რობერისგან, როგორსაც მე ვიცნობდი. ის არ იყო ცხოვრებისგან დამძიმებული, შენელებული, როგორც ბ-ნი დე შარლიუ, პირიქით, ცვლილება საპირისპირო მხარეს წასულიყო, კავალერიის ოფიცრის თამამამი იერი მიეცა მისთვის – თუმცა დაქორწინებისას თადარიგში გავიდა – ისეთი, რომელიც მანამდე არ ჰქონია. რაც უფრო მძიმდებოდა ბ-ნი დე შარლიუ, რობერი (რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ახალგაზრდა გახლდათ, მაგრამ იგრძნობოდა რომ ასაკთან ერთად მეტისმეტად მიისწრაფოდა ამ იდეალისკენ, ზოგიერთი ქალივით, შეგნებულად რომ სწირავს თავის სახეს თავისი წელის სივინროვეს და გარკვეული ასაკის შემდეგ აღარ ტოვებს მარიენბადს<sup>1</sup>, იმ ვარაუდით, რომ თუკი შეუძლებელია ერთბაშად ახალგაზრდობის დროინდელი ყველა მშვენების შენარჩუნება, უმჯობესია მისი ტანკენარობა იყოს სხვა დანარჩენის წარმომჩენი), ამ ნაკლის საპირისპიროდ გახდა უფრო მოხდენილი და უფრო სხარტი. ამ სისხარტეს, სხვათა შორის, ჰქონდა მრავალი ფსიქოლოგიური მიზეზი: შიში,

---

<sup>1</sup> ჩეხეთის მინერალური წყლების ცნობილი კურორტის – მარიანსკე ლაზნის – გერმანული სახელი